ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველო
ს/კ – 405337764
მის: თბილისი , ალ ყაზბეგის გამზ . N2, 0160

+995 577 07 05 77
democracyindexgeorgia@gmail.com
@DemocracyIndex

N 03-041-2021 15 თებერვალი 2021

საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს

ბატონებო,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-9 პუნქტის და 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „დემოკრატიის ინდექსი - საქართველოს“ მოსაზრებას გენერალური პროკურორის წინადადებაზე - პარლამენტის წევრ ნიკანორ მელიასთვის აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ.

პატივისცემით,

ეკატერინე ციმაკურიძე

თავმჯდომარე

მოსაზრება გენერალური პროკურორის წინადადებაზე - პარლამენტის წევრ ნიკანორ მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით

მიმდინარე წლის 12 თებერვალს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მოითხოვა საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობა ნიკანორ მელიას, პარლამენტის წევრის მიმართ დაპატიმრების შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით სასამართლოს წინაშე[1].

"დემოკრატიის ინდექსი - საქართველო" მიიჩნევს, რომ პარლამენტარიზმის განვითარების ხელშეწყობისა და პარლამენტის წევრების პოლიტიკური დასჯისგან დაცვის მიზნით, პარლამენტმა არ უნდა გასცეს წინასწარი თანხმობა ნიკანორ მელიას დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით სასამართლოს წინაშე.

მოსაზრება ეყრდნობა ერთი მხრივ, ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას და მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც იცავს პარლამენტში მყოფი უმცირესობის წარმომადგენელს პოლიტიკური დასჯიგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სისხლისსამართლებრივი ბრალდების პოლიტიკური მოტივაციის ეჭვი:

- **ფაქტობრივი გარემოებები ნიკანორ მელიას ბრალდებასთან დაკავშირებით**

ნიკანორ მელია არის პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ხოლო 2020 წლის დეკემბრიდან იკავებს პარტიის თავმჯდომარის თანამდებობას.[2] „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით იქნა არჩეული მეათე მოწვევის პარლამენტში.[3] ნიკანორ მელიას მოთხოვნას, მისი საპარლამენტო მანდატის შეწყვეტის შესახებ მე-10 მოწვევის პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.

დეპუტატის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის ბრალდებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით. სისხლის სამართლის საქმე ეხება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს.[4]

ნიკანორ მელიას, აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში, აღკვეთის ღონისძიების სახით, თავდაპირველად, განესაზღვრა გირაო 30 000 ლარის ოდენობით და ელექტრონული მონიტორინგი. 2020 წლის 1-ლი ნოემბრის საპროტესტო აქციაზე, ბრალდებულმა მოიხსნა ელექტრონული მონიტორინგით გათვალისწინებული სამაჯური, რის შემდგომაც სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და გირაოს ოდენობა გაზარდა 40 000 ლარით. ნიკანორ მელიამ უარი თქვა გირაოს გაზრდილი ოდენობით გადახდაზე.

---

[1] https://pog.gov.ge/uploads/52ea8241-winadadeba-12-02-2020.pdf?fbclid=IwAR17PzkTrmP1Kwjlmp3oD81wkopEPO4mlAmvdhrnIsloGisuZ_nHxTel1hU

[2] ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვებ. გვერდი https://bit.ly/37cwG2F [16:59 13.02.2021]

[3] საქართველოს პარლამენტის ვებ. გვერდი http://www.parliament.ge/ge/mp/5638 [17:03 13.02.2021]

[4] საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 12 თებერვლის წერილი N013/1 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს, გვ.1. https://bit.ly/2Zh01EE [17.46 13.02.2021]

სწორედ ზემოაღნიშნული გახდა გენერალური პროკურორის წინადადების საფუძველი, რომლითაც იგი ითხოვს პარლამენტის წინასწარ თანხმობას ნიკანორ მელიას დაპატიმრების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვასთან დაკავშირებით სსსკ-ის 200-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე[5].

- **გარემოებები, რომელიც მიუთითებს ნიკანორ მელიას ბრალდების პოლიტიკურ მოტივზე**

ნიკანორ მელიას მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირბეული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები:

„ადამიანის უფლებათა სახლის" მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც უერთდებიან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები - „ადამიანის უფლებათა ცენტრი", „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", „მედიის ინსტიტუტი", „საფარი", „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი" - აღნიშნულია რომ „[2019 წლის] 20 ივნისის მოვლენების შემდგომ ხელისუფლებამ თვალსაჩინო რეპრესიული მეთოდების გამოყენება დაიწყო; 20-21 ივნისის ღამეს ანტისაოკუპაციო აქციაში მონაწილე 10-ზე მეტ პირს ბრალი წარდგენილი აქვს ჯგუფური ძალადობრივი ქმედებისთვის (სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მეორე ნაწილი). მათ შორის არიან პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი, ნიკანორ მელია...". აგრეთვე, ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ „საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით მათ წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები უკიდურესად ბუნდოვანი და არადამაჯერებელია."[6]

სახალხო დამცველმა ნიკანორ მელიას საქმეზე წარადგინა სასამართლო მეგობრის (Amicul Curiae) მოსაზრება. იგი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს განჩინება, რომლითაც ნიკანორ მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეზღუდა საგამოძიებო ორგანოს ნებართვისა და ინფორმირების გარეშე საცხოვრებელი ადგილის დატოვება, მოწმეებთან ნებისმიერი კომუნიკაცია და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას განცხადებების გაკეთება, არაპროპორციულად უზღუდავდა მას, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრს, უფლებამოსილების განხორციელებას.[7]

Human Right Watch-ის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ხელისუფლებამ 20-21 ივნისის მოვლენების შემდგომ პასუხისმგებლობის პროცესი ცალმხრივად წარმართა „დაიწყო რა გამოძიება მასობრივი არეულობის მოწყობაზე, სულ ცოტა, 19 ადამიანს წარედგინა ბრალი, რომელთაგან 15 წინასწარ პატიმრობაში რჩებოდა ამ ანგარიშის მომზადების დროს. ოპოზიციონერ პარლამენტარ ნიკა მელიას შინაპატიმრობა შეეფარდა"[8].

ზემოაღნიშნულ შეფასებებთან ერთად, თავად სისხლისსამართლებრივი დევნის ხანგრძლივობაც ცალსახად აღძრავს მის მიმართ პოლიტიკური დევნის ეჭვს. პროკურორის მიერ

---

[5] Supra 4, გვ. 2-4.

[6] ადამიანის უფლებათა სახლი, „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი და მისი წევრი ორგანიზაციები ქვეყანაში დაწყებულ „დაჭერებს" ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირთა რეპრესიად აფასებს", https://bit.ly/3demryH [18:59 13.02.2021]

[7] სახალხო დამცველის 2019 წლის 28 ნოემბრის წერილი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს ვასილ მშვენიერაძეს „სასამართლოს მეგობრის Amicus Curiae) მოსაზრება" https://www.ombudsman.ge/res/docs/2019120312394874524.pdf [19:28 13.02.2021]

[8] Human Right Watch: საქართველო 2019 წლის მოვლენები, https://www.hrw.org/ka/world-report/2020/country-chapters/336553 [20:21 13.02.2021]

პარლამენტისთვის წარდგენილი წინადადება მიუთითებს, რომ ნიკანორ მელიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო, მოპოვებულია მტკიცებულებები, თუმცა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

- **პოლიტიკური დასჯის მიზნით სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების გამოყენების პრაქტიკა ბოლო პერიოდში**

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს არაერთხელ გამოუთქვამს წუხილი საქართველოში პოლიტიზირებული მართლმსაჯულების შესახებ. საელჩომ 2020 წლის 11 თებერვლის განცხადებით გამოთქვა იმედგაცრუება გიგი უგულავას დაკავების შესახებ და აღნიშნა, რომ [პოლიტიკურ პარტიებს შორის] დიალოგის წარმატებულად გაგრძელებისთვის ხელშემწყობი გარემო მოითხოვს დამოუკიდებელ, გამჭვირვალე სასამართლო სისტემას, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური ზეგავლენისგან.[9]

აშშ-ს საელჩოს მიერ ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „დაპატიმრების დრომ და გარემოებამ გამოიწვია შეშფოთება პოლიტიკურ ჩარევასა და შერჩევითი სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს საქმე ჩრდილს აყენებს სამართალწარმოების მიუკერძოებლობას - საკითხს, რომლის ირგვლივ არსებული შეშფოთების გაქარწყლებას ემსახურებოდა 8 მარტის ერთობლივი განცხადება.“[10]

აშშ-ს კონგრესის სენატორებმა და მათ შორის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ - ჯეიმს რიშმა გიორგი რურუას, როგორც პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებისკენ მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას. გარდა ამისა, გიორგი რურუას გათავისუფლებისკენ საქართველოს ხელისუფლებას ევროპარლამენტარებმა - დეევიდ მაკალისტერმა და ანა ფოტიგამ მოუწოდეს.[11]

პოლიტიკური მართლმსაჯულების შესახებ საუბრობდნენ ადგილობრივი ორგანიზაციებიც:

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელშიც შეფასებულია სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების (მათ შორის, ნიკანორ მელიას საქმე, გიგი უგულავას საქმეები, ირაკლი ოქრუაშილის საქმეები, გიორგი რურუას საქმე) სასამართლო პროცესის მონიტორინგი, აღნიშნულია - „საზოგადოებაში არსებული ეჭვები შერჩევით სამართალთან და სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გამძაფრდა მთავარი პროკურორის, შალვა თადუმაძის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საზოგადოებრივი ნდობის გამყარებას სისხლის სამართლის სისტემისა და ზოგადად, სასამართლო ხელისუფლებისადმი და არ იძლევა მათი პოლიტიკური ნეიტრალურობის გარანტიას.“[12]

---

[9] ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, აშშ-ის საელჩოს განცხადება პოლიტიკური დიალოგისა და ოპოზიციის ლიდერისთვის განაჩენის გამოტანის შესახებ (11 თებერვალი), https://bit.ly/3rRuc1D [19:46 13.02.2021]

[10] ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, ა.შ.შ.-ის საელჩოს განცხადება ირაკლი ოქრუაშვილის შესახებ (14 აპრილი), https://bit.ly/3u68Aka [19:46 13.02.2021]

[11] რადიო თავისუფლება, გიორგი რურუას საქმე და საერთაშორისო პარტნიორების ძახილი, https://bit.ly/2No48w6 [20:34 13.02.2021]

[12] გიორგი ტყებუჩავა, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი (შემაჯამებელი ანგარიში), ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2020, 69-70. https://bit.ly/3jNCkxp [20:55 13.02.2021]

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2020 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებისას აცხადებს, რომ „სასამართლო და სამართალდამცავ სისტემებში არსებული ინსტიტუციური პრობლემების ფონზე, კრიტიკულად მაღალია შერჩევითი, პოლიტიზირებული მართლმსაჯულების განხორციელების რისკები“.[13]

- **საერთაშორისო სტანდარტები პარლამენტარის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით**

ევროსაბჭოს ვენეციის კომისის მიერ განსაზღვრული სტანდარტით პარლამენტარის სისხლისსამართლებრივი ხელხეუშებლობა (პატიმრობისგან, დაკავებისგან, სხვა უფლებაჩამრევი საგამოძიებო მოქმედებებისგან დაცვა), პირველ რიგში, ემყარება წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის დაცვას. იგი გამართლებულია იმ პირობით, რომ ხალხის მიერ არჩეულმა წარმომადგენელმა სასამართლოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ან პოლიტკური ოპონენტების ყოველგვარი არამართლზომიერი ჩარევისა და ზეწოლის გარეშე განახორციელოს თავისი დემოკრატიული ფუნქციები. აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბერკეტია პოლიტიკური ოპოზიციისა და პოლიტიკური უმცირესობისთვის[14].

პარლამენტარის ხელშეუხებლობა ემსახურება საპარლამენტო ოპოზიციის დაცვას უმრავლესობის არამართლზომიერი ზემოქმედებისგან. ამასთან, ის იცავს პარლამენტის წევრს ისეთი ფორმის პოლიტიკური ზეწოლისგან, როგორიცაა მაგალითად, დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი ბრალდებები პოლიტიკური ოპონენტებისგან.[15] პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობა უნდა იქნას გამოყენებული ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ დევნა ხორციელდება პოლიტიკური მოტივით[16].

აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისია ხაზს უსვამს კანონის წინაშე თანასწორობის ვალდებულებას ყველა მოქალაქისთვის და მათ შორის, განსაკუთრებით პარლამენტარის მხრიდან. იგი აცხადებს, რომ ყველა მოქალაქეს თანაბრად ეკისრება ვალდებულება, არ დადგეს კანონზე მაღლა და სწორედ ეს არის პარლამენტარის სისხლისსამართლებრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მთავარი არგუმენტი.[17] თუმცა, აქვე იგი ხაზს უსვამს იმას, რომ პარლამენტარის მიმართ ხელშეუხებლობის ამოქმედება ლეგიტიმურია, თუ იგი გამართლებულია საზოგადოებრივი დაკვეთით.[18]

ერთი მხრივ, ნიკანორ მელიას მიერ გირაოს გადახდაზე უარის თქმა მიუთითებს მის მხრიდან კანონის დარღვევაზე, თუმცა, მეორე მხრივ, ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები - მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკური მოტივაციის დასაბუთებული ვარაუდი - მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ხელშეუხებლობის ამოქმედების საზოგადოებრივ დაკვეთას გულისხმობს.

---

[13] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), EMC 2020 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას აფასებს, https://bit.ly/3pbJbSo [21:08 13.02.2021]

[14] Venice Commission for Democracy and Through Law, Report on the Scope and Lifting of Parliamentary Immunities, Strasbourg, 14 May, 2014, para 164

[15] Id. 152

[16] Id. 36

[17] Id. 38

[18] Id. 39

ერთი მხრივ, ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ წარმატებული დემოკრატიის ქვეყნებში ნაკლებ სავარაუდოა პარლამენტის ინსტიტუციური დაკნინება პარლამენტის წევრთა დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით. ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, პარლამენტს თავად გააჩნია უკეთესი დამცავი მექანიზმი, ვიდრე პარლამენტის წევრის სისხლისსამართლებრივი ხელშეუხებლობის მექანიზმია. გარდა ამისა, არსებობს კიდევ სხვა პოლიტიკური და იურიდიული ნორმები ნებისმიერი განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც აკავებს პოლიტიკურ უმრავლესობას, არალეგიტიმური მიზნებსთვის გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმები ინდივიდუალური პარლამენტის წევრის მიმართ.[19]

მეორე მხრივ კი, ვენეციის კომისია მიუთითებს საფრთხეებზე, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს სხვა ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არც ისე წარმატებით ფუნქციონირებს. იგი აცხადებს, რომ შესაძლოა მყისიერი აუცილებლობაც კი არსებობდეს ზოგიერთ ქვეყანაში პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობის ასამოქმედებლად, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.[20] არსებობს შემთხვევები, როდესაც დევნის უფლებამოსილება გამოიყენება პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის, დასჯისა და განადგურების მიზნით. ასევე, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო ხელისუფლება არ სარგებლობს ნდობით და არ მოქმედებს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობის ამოქმედება.[21]

ვენეციის კომისია პროცედურულ მხარესაც შეეხება და მიუთითებს, რომ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, დეტალურად რეგულირებული, განჭვრეტადი, გამორიცხავდეს თვითნებობას და უზრუნველყოფდეს ობიექტურობას (მიუხედავად გადაწყვეტილების პოლიტიკური ხასიათისა[22]), სადაც ორივე მხარეს მოუსმენენ.[23]

ვენეციის კომისია პირდაპირ მიუთითებს კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზეც პარლამენტის წევრი უნდა დარჩეს ხელშეუხებელი:

- როდესაც წარდგენილი ბრალდებები ნათლად და ცალსახად დაუსაბუთებელია;
- როდესაც წარდგენილი ბრალდებები არის პოლიტიკური ქმედების გაუაზრებელი შედეგი;
- როდესაც ბრალდებები წარდგენილია პოლიტიკური მოტივით, რომელიც მიმართულია პარლამენტის წევრის დაშინების, შევიწროვების, ან არამართლზომიერი ჩარევისკენ;
- როდესაც სამართალწარმოება სერიოზულად დააზიანებს პარლამენტის დემოკრატიულ ფუნქციონირებას ან რომელიმე წევრის ან ჯგუფის ძირითად უფლებას.

---

[19] Id. 153
[20] Id. 154
[21] Id.
[22] Id. 150
[23] Id. 167

დასკვნა

ნიკანორ მელიას მიმართ პატიმრობის მოთხოვნის შუამდგომლობაზე გენერალურ პროკურორს არ უნდა მისცეს წინასწარი თანხმობა პარლამენტმა, რადგან აღნიშნული დააზიანებს კონკრეტული პარლამენტარის მანდატის თავისუფალ ფუნქციონირებას და ამით პარლამენტს, როგორც ინსტიტუტს.

თავისუფალი მანდატის ფუნქციონირებაში არამართლზომიერი ჩარევა სახეზეა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომელთა არსებობისას ვენეციის კომისია ცალსახად განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი ხელშეუხებლობის ვალდებულებას დემოკრატიის წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

ფაქტობრივად, ნიკანორ მელიას მიმართ წარდგენილი ბრალდება, 2019 წლიდან დღემდე, არაერთმა ადგილობრივმა და საერთაშორისო სუბიექტმა პოლიტიკური მოტივებით შეაფასა.

საქართქველოს მართლმსაჯულებაში პოლიტიკური ნიშნით დევნის არაერთი მაგალითი არსებობს სულ რაღაც ბოლო 2 წლის განმავლობაში, რომლებზეც ადგილობრი და საერთაშორისო სუბიექტები მიუთითებენ.

ვენეციის კომისია პარლამენტის სისხლის სამართლებრივ ხელშეუხებლობის ვალდებულებას აწესებს სტანდარტად, როდესაც ერთი მხრივ სახეზეა ბრალდების პოლიტიკური ნიშნები, მეორე მხრივ პოლიტიკური დევნის პრაქტიკა, და ბოლოს, როდესაც სასამართლოს ხელისუფლება არ სარგებლობს დამოუკიდებლობის რეპუტაციით.

“დემოკრატიის ინდექსი - საქართველო” მოუწოდებს საქართველოს პარლამენტის თითოეულ წევრს, რომ მხარი არ დაუჭირონ წინასწარ თანხმობას, გენერალური პროკურორის მიერ ნიკანორ მელიას მიმართ დაპატიმრების შუამდგომლობასთან დაკავშირებით.